

# ხობის მოამბე

№1 (7155)
15 თებერვალი,
ოთხშაბათი, 2023 წელი.
ფასი 0.70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


## მიწისძვრა თურქეთში



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთი მილიონი ლარი გამოეყო.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აწერს, გამოყოფილი თანხა თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისთვის მედიკამენტების, საკვების, ტანსაცმლის, სამედიცინო აღჭურვილობის და სხვა საჭიროებების შესყიდვას და თურქეთის რესპუბლიკაში ტრანსპორტირებას

თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში 6 იანვარს დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრას მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვა მეზობელ სირიაშიც. თურქეთის საგანგებო სიტუაციების სამსახურის ცნობით 7,7 მაგნიტუდის მიწისძვრის ეპიცენტრი სამხრეთ-აღმოსავლეთში კაჰრამანმარაშის პროვინციაში მდებარეობდა. მიწისძვრას 5 ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

## ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია იწყება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ახალი პროგრამა იწყება, რომელიც ქვეყნის მასშტაბით, 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციას ითვალისწინებს, კერძოდ: აშენდება 330 ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 555 არსებულ ბაღს.

აღნიშნული საკითხი, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გამართულ მთავრობის სხდომაზე განიხილეს. ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამა რამდენიმე ეტაპად განხორციელდება, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1.3 მილიარდი ლარი დაიხარჯება. აღსანიშნავია, რომ პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის 100 მილიონი ლარი 2023 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია.

სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი განახორციელებს, ტენდერები უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

ახალი პროგრამის ფარგლებში, საბავშვო ბაღები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდება და რეაბილიტირდება. მოეწყობა ბაღების შიდა და გარე სივრცეები, რეკრეაციული ზონები, კომუნიკაციები და სველი წერტილები. ბაღები სრულად იქნება ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის.

საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და პრიორიტეტების მიხედვით იგეგმება.

## ქართველი მაშველები თურქეთში სამაშველო ოპერაციას უწყვეტ რეჟიმში განაგრძობენ




ქართული სამაშველო ჯგუფი ქალაქ ადიამანში სამაშველო ოპერაციას ორ სექტორზე ახორციელებს.

შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომლის მთავარი ამოცანაა ნანგრევებში მოყოლილი ცოცხალი მოქალაქეების შესახებ შემოსულ ინფორმაციაზე სწრაფი რეაგირება.

ამასთანავე, ადგილზე მოქმედებს საველე შტაბი, რომელიც ქალაქ ადიამანის ოპერატიული მართვის ცენტრთან მუდმივ კოორდინაციაშია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებენ.

ინტენსიური და რთული სამაშველო ღონისძიების შედეგად, ქართველი მეხანძრე-მაშველების მიერ ნანგრევებში მოყოლილი არაერთი ადამიანია გადარჩენილი, მათ შორის ნანგრევებში მოყოლილი ერთი მოქალაქე მაშველმა ძაღლმა აღმოაჩინა.

თურქეთში დამანგრეველი მიწისძვრით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში ქართული სამაშველო ჯგუფი საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით იმყოფება.

*ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.*

## მოლოცვა



თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის უნივერსიტეტის ოქროს მედლით პროფესორი ელიზბარ ნადარაია დააჯილდოვეს.

ხობის საპატიო მოქალაქე ელიზბარ ნადარაია დაიბადა 1936 წელს ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში. 1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა–მათემატიკის ფაკულტეტი. 1964–1966 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი; 1978–1986 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის დოცენტი და შემდეგ პროფესორი, 1986 წლიდან ამავე კათედრის გამგე. 2001 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ–კორესპონდენტია.

ხობის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა დავით ბუკიამ გულთბილად მიულოცა ხობის საპატიო მოქალაქეს დამსახურებული ჯილდო.

„ვულოცავ ბატონ ელიზბარს მისი მრავალწლიანი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის მორიგ აღიარებას–თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოებას!"–ნათქვამია ბატონ დავით ბუკიას მილოცვაში.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტი– 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დაამტკიცა

4-12 გვ.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ გრძელდება

დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში საერთო კრებები და მოსახლეობასთან კონსულტაციები მიმდინარეობს.

დასახლების კრებებზე და მოსახლეობასთან კონსულტაციებზე მოქალაქეებმა ღია კენჭისყრით ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ საპროექტო წინადადებებს დაუჭირეს მხარი.



„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ დასაფინანსებელი პროექტების კატეგორიებია:

- სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);
- სარწყავი სისტემები;
- სანიაღვრე არხები;
- ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- გზები და გზისპირა მოსაცდელები; აგრეთვე, ტროტუარები და გზის შემადგენელი სხვა ინფრასტრუქტურა;
- ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;
- გარე განათება;
- სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;
- ამბულატორიის შენობები;
- სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;
- სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით;
- წისქვილის რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;
- სასაფლაოს შემოღობვა და კეთილმოწყობა;
- მინი-ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და დამისამართების შესაბამისად, შესაბამისი ნიშნების, აგრეთვე ტურისტული ადგილების მიმანიშნებელი ნიშნების განთავსება.

დასახლების კრება და მოსახლეობასთან კონსულტაცია მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ეტაპობრივად გაიმართება.

---



ხობის მუნიციპალიტეტის ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედანი აშენდა.

ადმინისტრაციულ ერთეულში მოწყობილი სპორტული მოედანი ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ რევაზ ზაქარაიამ და მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა გია ჩაბალუხამ დაათვალიერეს.

ადგილობრივმა მოსახლეობამ სოფელში სპორტული მოედნის მოწყობის ინიციატივით მერიას მიმართა.

სტადიონის მშენებლობაზე 117 000 ლარი დაიხარჯა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა.

---



ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საგაბისონიოს და საპერტიოს უბნებში გზების რეაბილიტაციის მეორე ეტაპი მიმდინარეობს.

გზების რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროს გია ჩაბალუხასთან ერთად გაეცნო.

სამუშაოების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება 2 მილიონ ლარზე მეტია.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტებს მერია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებს.

## ძლიერმა ქარმა ხობის მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა

ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სპეციალური კომისიის წევრები ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობას ადგილზე ეცნობიან და სტიქიით გამოწვეული ზარალს მოცულობას ითვლიან.

მუნიციპალიტეტში ძლიერმა ქარმა დააზიანა სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები, ადმინისტრაციული შენობები, ელექტრო გადამცემი ხაზები, ბოძები და გაზსადენი მილები.



შემოსულ შეტყობინებებზე შესაბამისი სამსახურების მიერ ოპერატიულად ხდებოდა რეაგირება.

მუნიციპალიტეტის სრულ ტერიტორიაზე, მთელი დღის განმავლობაში იწმინდებოდა მოგლეჯილი ხეებისაგან ჩახერგილი გზები.

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიის შედეგად არსებულ მდგომარეობას ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, პირველ მოადგილე რევაზ ზაქარაიასთან ერთად გაეცნო.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. სამუშაოებში ჩართულია მერიის შესაბამისი სამსახურები, „ხობი დასუფთავება და განათებას“ და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ჯგუფები.

ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა სახლების სახურავები, ელექტრო გადამცემი ხაზები, წაიქცა ბოძები და ხეები.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, იანვარში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემის, ასევე მუნიციპალიტეტებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, 20 მილიონ ლარზე მეტი გამოიყო.

მუნიციპალიტეტებს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანებული კერძო სახლების კომპენსაციის გაცემის მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 1 470 000 ლარი გამოიყო.

---



ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში, გაიმართა ახალგაზრდული საინიციატივო–საორგანიზაციო ჯგუფის „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ ექვსი თვის ანგარიშის მოსმენა, სადაც ახალგაზრდებმა დამსწრე საზოგადოებას განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები წარუდგინეს.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია და საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ.

შეხვედრის დასასრულს, საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებმა, აქტიური თანამშრომლობისთვის, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს მადლობის სიგელები გადასცეს.

---



ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხობის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს.

სასოფლო გზის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია, პირველ მოადგილე რევაზ ზაქარაიასთან ერთად გაეცნო.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 542 000 ლარია.

გასულ წელს ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში პაპანწყვირეს ტბასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია განხორციელდა.

## სოფელი

# „ბიელთა ინტერესების დაცვა ჩემი საზრუნავი და მოვალეობაა“

**ნომრის სტუმარია ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში დათო ღვინჯილია.**



***ახალმა წელმა ახლებური განწყობა მოიტანა ყველგან. ასევეა სოფელ ბიის ყველა ოჯახსა თუ საზოგადობაში.***

***ბატონო დათო, უპირველესად მოგმართავთ, როგორც ყველა რესპოდენტს, ვინ არის დათო ღვინჯილია?***

–დავიბადე 1966 წლის 6 აპრილს სოფელ ბიაში. 1980 წელს დავამთავრე რვა კლასი. 1981-83 წლებში ვსწავლობდი ნოჯიხევის პროფესიულ სასწავლებელში, სადაც დავეუფლე მშენებლის პროფესიას. 1984-86 წლებში ვმსახურობდი საბჭოთა ჯარში. შემდეგ საცხოვრებლად გადავედი რუსეთის ფედერაციაში–ამურის ოლქში, ქალაქ ტინდა ბამში 1991-93 წლებში დავამთავრე სამშენებლო ტექნიკუმი. 1995 წელს დავბრუნდი საქართველოში.

2013 წელს დავინიშნე ბიაში სოფლის გამგებლად, სადაც 2017 წლამდე ვიმუშავე, შემდეგ ვმუშაობდი შ.პ.ს. წყალმომარაგებაში მენეჯერად.



2021 წლიდან დავინიშნე მერის წარმომადგენლად ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში. ვარ დაოჯახებული. მყავს მეუღლე ბელა ხუნწარია და ორი შვილი–მონიკა და ნიკა.

***ყველა სოფელს აქვს თავისი წარსული, აწმყო, მომავალი, ისტორია... გვიამბეთ ბიაზე რატომ დაერქვა ბია.***

***რა იყო ისეთი მნიშვნელოვანი, რაც გამოარჩევდა სოფელს?***

–ბია ხობის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ლამაზი და კარგი სოფელია. მას დასავლეთით აკრავს მდინარე ხობისწყალი, აქ სამხრეთით მოედინება ცივი წყარო „ღარღულა“, „ოხვამე ფერდე“, ზემო ბიაში დგას მთავარანგელოზის სახელობის უძველესი ეკლესია, რომელიც 1847 წელს აიგო.

ზუსტი ფაქტი თუ რატომ დაერქვა სოფელს ეს სახელი, არ არსებობს, თუმცა არსებობს თქმულება, რომლის მიხედვითაც ქალღმერთი ბია, რომელსაც პრომეთე მიყავდა კავკასიონის მთებში მისაჯაჭვად.

ქალღმერთი დასასვენებლად შეჩერდა ზემო ბიის ტერიტორიაზე, როცა მას ჰკითხეს სად იყო გაჩერებული ქალღმერთი ბია, უჩვენებია დღევანდელი ზემო ბიის ტერიტორია და მის პატივსაცემად დაერქვა ბია. თუმცა ეს თქმულება ხალხშია გავრცელებული და ისტორიულად არ დასტურდება.



ბიაში საუკუნეების განმავლობაში აგვისტოში, დღესასწაულობდნენ „მალანურობას“ აქ უამრავი ხალხი იყრიდა თავს. მასზე არაერთ მკვლევარსა და მოგზაურს აქვს აღწერილი თავიანთ ნაშრომებში.

***იმ ადამიანებზე ისაუბრეთ, რომლებმაც წარსულში წილი დაიდეს ქვეყნის და სოფლის სასიკეთოდ. ასევე დღეს ვინ არიან ისეთები, რომელთაც მნიშვნელოვანი საქმეები აბარიათ?***

–ჩვენი სოფლის მნიშვნელოვანი ადამიანი გახლდათ ახალგაზრდა ივანე ლავრენტის ძე იოსავა. მისი წანაპრები მღვდლები იყვნენ. თავად 29 წლის ახალგაზრდა კაცი ძალიან განათლებული და ენების მცოდნე იყო, რომელიც 1893 წელს დაიბადა იოსავების ისტორიულ „სახობოში“. აქ არსებობდა მათი სალოცავი ბიის მთავარანგელოზთა ეკლესია, სადაც მამამისი იყო მღვდელი. საუბედუროდ, ახალგაზრდა ივანე, რომელსაც ბევრი სასიკეთო საქმეების კეთება შეეძლო, 1921 წლის 24 თებერვალს საქართველოში კოჯრის მიდამოებში შემოჭრილ საბჭოთა რუსეთის წითელარმიასთან ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა.

ბიაში მრავალი სახელოვანი ადამიანი ცხოვრობდა და ცხოვრობს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მუნიციპალიტეტის წარმატებებში.

–დღეს ჩვენს გვერდით მოღვაწეობენ ნოჯიხევისა და ბიის მაჟორიტარი დეპუტატი ლევან ლიპარტია და საკრებულოს წევრი ფრიდონ შონია. ერთმანეთთან შეთანხმებულად, ხალხთან ერთად ვგეგმავთ გასაკეთებელ საქმეებს. ვეხმარებით ერთმანეთს სიახლეთა დანერგვაში. ჩვენს შორის ურიერთობის პრობლემა არ არსებობს. ხშირად ვხვდებით ერთამანეთს და შეხვედრისას ვწყვეტთ სოფლისთვის საჭირბოროტო საკითხებს.

სოფელში არსებობს საბავშვო ბაღი, სადაც 18 აღსაზრდელი ჰყავთ. მთავარი სპეციალისტი გახლავთ ელისო მარგიანი, აღმზრდელები და მზარეული ეხმარება მას. (გვანცა შონია, მანანა შამათავა, ინგა კანკია და ბაღუ რეკვავა).

საჯარო სკოლაში (დირექტორი დარიკო (ნანა) თირქია). 12 პედაგოგი მუშაობს. აქედან 10 პედაგოგი სერთიფიცირებულია, დანარჩენი მასწავლებელი კი წამყვანი სპეციალისტია.

***რა გაკეთდა ბოლო წლებში ბიაში, რითი იყო გამორჩეული გასული წელი სხვა წლებთან შედარებით?***

–ბიაში სულ 452 კომლი ცხოვრობს 738 მოსახლით. მათ შორის 31 იძულებით გადაადგილებულ პირია.

ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის სასიკეთოდ ბევრი მნიშვნელოვანი საქმეა გაკეთებული.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გაკეთდა ახალი ხიდი, რომელმაც სოფელს ბევრი პრობლემა აარიდა. ბია-საშონიოში დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარიანი გზა, შემოიღობა ცენ-



ტრალური სასაფლაოს ტერიტორია, ახალგაზრდების მოთხოვნით ბიის ცენტრში აშენდა ახალი მინი სტადიონი, რომლის ღირებულებამ 119 ათასი ლარი შეადგინა. სტადიონი მალევე იქცა ბიის სავიზიტო ბარათად. ხშირად გვაქვს სტუმრობა მეზობელი სოფლებიდან.

ბიის ადმინისტრაციული ერთეული თითქმის გაზიფიცირებულია, რაც დიდი შვებაა მოსახლეობისთვის. სამწუხაროდ, ბია-საშონიოში და ზედა ბიაში მოსახლეობას ბუნებრივი აირი ჯერჯერობით არ მიეწოდება. სასმელი წყლის მიწოდება კი 24 საათიანი გრაფიკით ხდება.

***რა გეგმები გაქვთ 2023 წელს?***

–სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ზემო ბიაში იგეგმება სასაფლაოს შემოღობვა, ხოლო ბიასა და ბია-საშონიოში გაკეთდება გარე განათება.

***ახლანდელმა სტიქიამ ბევრი ოჯახი დააზარალა? დაზარალებულ ოჯახებზე დახმარების გაცემა გარკვეულია თუ ჯერჯერობით გადასაწყვეტია? სულ რამდენი ასეთი ოჯახია?***

–ახლანდელმა ძლიერი ქარით გამოწვეულმა სტიქიამ სოფელში 16 ოჯახი დააზარალა. მუნიციპალიტეტის მერის ხელმძღვანელობით შეიქმნა კომისია, დათვლილიქნა ზარალი, კომისიის დასკვნების შედეგად მოსახლეობას ზარალი დროულად აუნაზღაურდა.

***რას იტყვით სოფლის ახალგაზრდებზე?***

–სოფლის ახალგაზრდები აქტიურები არიან. ხშირად ვურთიერთობთ საერთო საქმიანობაში. მათთვის სავიზიტო ბარათად იქცა ახალი მინი სტადიონი. ის მარტო მათთვის კი არა, მეზობელი სოფლების ახალგაზრდებისთვისაცაა ხელმისაწვდომი.

სამწუხაროა, რომ სოფლიდან ხდება ახალგაზრდების გადინება. ამ საქმეს ჩვენც ვერ ავარიდეთ თავი, საკმაოდ ბევრი ახალგაზრდაა საზღვარგარეთ წასული.

***რას უსურვებთ თანასოფლელებს?***

–ვუსურვებდი ყველა მიზნის ასრულებას, ჯანმრთელობას და ბედნიერ, გაერთიანებულ საქართველოში ცხოვრებას.

ბიელებმა იციან, რომ მათი ინტერესების დაცვა ჩემი საზრუნავი და მოვალეობაა.

***ესაუბრა ნანი კილასონია***

# ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №24

**ქ. ხობი** **2022 წლის 29 დეკემბერი**

## ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

განისაზღვროს:

ა) შემოსულობები–14518,6 ათასი ლარით;

ბ) გადასახდელები–14518,6 ათასი ლარით;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი–799,6 ათასი ლარით, მათ შორის:

გ.ა) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად–260,0 ათასი ლარი;

გ.ბ) ცენტრალური სსიპ(ებ)-დან ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის 539,6 ათასი ლარი;

დ) სარეზერვო ფონდი–90,0 ათასი ლარით;

ე) ვალდებულებების ცვლილება, კლება 59,0 ათასი ლარით.

**მუხლი 2.**

დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართულის სახით.

**მუხლი 3.**

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 30/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016372).

**მუხლი 4.**

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

**ლევან ქავთარაძე,**
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

**დანართი**

## ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

## თავი I

## ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | | | 2023 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **17737-.8** | **2093-7.6** | **9815.8** | **11121.8** | **14468.6** | **539.6** | **13929.0** |
| **გადასახადები** | **9156.2** | **9916.0** | **0.0** | **9916.0** | **12679.5** | **0.0** | **12679.5** |
| **გრანტები** | **7304.7** | **10050-.8** | **9815.8** | **235.0** | **799.6** | **539.6** | **260.0** |
| **სხვა შემოსავლები** | **1276.9** | **970.8** | **0.0** | **970.8** | **989.5** | **0.0** | **989.5** |
| **ხარჯები** | **8748.1** | **12527-.3** | **994.9** | **11532.4** | **12716.3** | **0.0** | **12716.3** |
| შრომის ანაზღაურება | 1996.4 | 3463.6 | 0.0 | 3463.6 | 3853.9 | 0.0 | 3853.9 |
| საქონელი და მომსახურება | 1747.8 | 2621.6 | 912.0 | 1709.6 | 1774.1 | 0.0 | 1774.1 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 26.6 | 27.0 | 0.0 | 27.0 | 23.0 | 0.0 | 23.0 |
| სუბსიდიები | 4028.7 | 5303.9 | 0.0 | 5303.9 | 6199.7 | 0.0 | 6199.7 |
| გრანტები | 22.5 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 465.3 | 562.6 | 0.0 | 562.6 | 542.3 | 0.0 | 542.3 |
| სხვა ხარჯები | 460.8 | 518.6 | 82.9 | 435.7 | 293.3 | 0.0 | 293.3 |
| **საოპერაციო სალდო** | **8989.7** | **8410.3** | **8820.9** | **-410.6** | **1752.3** | **539.6** | **1212.7** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **7783.5** | **12158-.7** | **8983.0** | **3175.7** | **1693.3** | **539.6** | **1153.7** |
| ზრდა | 9382.5 | 12719.4 | 8983.0 | 3736.4 | 1743.3 | 539.6 | 1203.7 |
| კლება | 1599.0 | 560.7 | 0.0 | 560.7 | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| მთლიანი სალდო | 1206.2 | -3748-.4 | -162.1 | -3586.3 | 59.0 | 0.0 | 59.0 |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **1154.9** | **-3801.-6** | **-162.1** | **-3639.5** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| **ზრდა** | **1154.9** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1154.9 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **კლება** | **0.0** | **3801.6** | **162.1** | **3639.5** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 3801.6 | 162.1 | 3639.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **ვალდებულებე-ბის ცვლილება** | **-51.3** | **-53.2** | **0.0** | **-53.2** | **-59.0** | **0.0** | **-59.0** |
| **ზრდა** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **კლება** | **51.3** | **53.2** | **0.0** | **53.2** | **59.0** | **0.0** | **59.0** |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 51.3 | 53.2 | 0.0 | 53.2 | 59.0 | 0.0 | 59.0 |
| **ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |

**მუხლი 2.**

**ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2021 წლის ფაქტი | 2022 | | | 2023 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსულობები** | | **19336.-8** | **21498.3** | **9815.8** | **11682.5** | **14518.6** | **539.6** | **13979.0** |
| შემოსავლები | 1 | 17737.8 | 20937.6 | 9815.8 | 11121.8 | 14468.6 | 539.6 | 13929.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 1599.0 | 560.7 | 0.0 | 560.7 | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით) | 32 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | | | | | | | | |
| **გადასახდელები** | | **18246.-2** | **25299.-9** | **9977.9** | **15322.0** | **14518.6** | **539.6** | **13979.0** |
| ხარჯები | 0.0 | 8748.1 | 12527.3 | 994.9 | 11532.4 | 12716.3 | 0.0 | 12716.3 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | | 9382.5 | 12719.4 | 8983.0 | 3736.4 | 1743.3 | 539.6 | 1203.7 |
| ვალდებულებების კლება | | 115.6 | 53.2 | | 53.2 | 59.0 | | 59.0 |
| ნაშთის ცვლილება | | 1090.6 | -3801.6 | -162.1 | -3639.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

4

**მუხლი 3. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 14468.6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | | | 2023 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 17,73-7.8 | 20,93-7.6 | 9,815.8 | 11,121.-8 | 14,468.6 | 539.6 | 13,929-.0 |
| დამატებითი ღირ. გადასახადი | 4,920.1 | 5,916.0 | | 5,916.0 | 8,029.5 | | 8,029.5 |
| ქონების გადასახადი | 4,236.1 | 4,000.0 | 0.0 | 4,000.0 | 4,650.0 | 0.0 | 4,650.0 |
| გრანტები | 7,304.7 | 10,050-.8 | 9,815.8 | 235.0 | 799.6 | 539.6 | 260.0 |
| სხვა შემოსავლები | 1,276.9 | 970.8 | 0.0 | 970.8 | 989.5 | | 989.5 |

**მუხლი 4. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 12679,5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | | | 2023 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 11 | 9156.2 | 9916.0 | 0.0 | 9916.0 | 12679.5 | 0.0 | 12679.5 |
| ქონების გადასახადი | 113 | 4236.1 | 4000.0 | 0.0 | 4000.0 | 4650.0 | 0.0 | 4650.0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 1876.1 | 1848.0 | | 1848.0 | 2288.0 | | 2288.0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113112 | 0.1 | 0.0 | | | 0.0 | | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 7.1 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1131131 | 0.0 | 2.0 | | 2.0 | 2.0 | | 2.0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე | 1131132 | 7.1 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113114 | 344.2 | 300.0 | 0.0 | 300.0 | 340.0 | 0.0 | 340.0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131141 | 118.8 | 95.0 | | 95.0 | 115.0 | | 115.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131142 | 225.4 | 205.0 | | 205.0 | 225.0 | | 225.0 |
| **არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე** | **113115** | **2008.6** | **1850.0** | **0.0** | **1850.0** | **2020.0** | **0.0** | **2020.0** |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131151 | 54.4 | 40.0 | | 40.0 | 50.0 | | 50.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131152 | 1954.2 | 1810.0 | | 1810.0 | 1970.0 | | 1970.0 |
| **სხვა გადასახადები** | **116** | **4920.1** | **5916.0** | | **5916.0** | **8029.5** | | **8029.5** |

**მუხლი 5. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 799,6 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | | | 2023 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 13 | 7304.7 | 10050.8 | 9815.8 | 235.0 | 799.6 | 539.6 | 260.0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 133 | 7304.7 | 10050.8 | 9815.8 | 235.0 | 799.6 | 539.6 | 260.0 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 1311 | 833.1 | 989.2 | 754.2 | 235.0 | 260.0 | 0.0 | 260.0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 833.1 | 989.2 | 754.2 | 235.0 | 260.0 | | 260.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 1312 | 6471.6 | 9061.6 | 9061.6 | 0.0 | 539.6 | 539.6 | 0.0 |
| გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან | | 261.1 | 3344.2 | 3344.2 | | 539.6 | 539.6 | |
| სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | | 5426.5 | 4933.4 | 4933.4 | | 0.0 | | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 784.0 | 784.0 | 784.0 | | 0.0 | | |

**მუხლი 6. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 989.5 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | | | 2023 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 14 | 1276.9 | 970.8 | 0.0 | 970.8 | 989.5 | 0.0 | 989.5 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 141 | 581.9 | 420.0 | 0.0 | 420.0 | 450.0 | 0.0 | 450.0 |
| პროცენტები | 1411 | 254.2 | 190.0 | | 190.0 | 200.0 | | 200.0 |
| რენტა | 1415 | 327.7 | 230.0 | 0.0 | 230.0 | 250.0 | 0.0 | 250.0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 14151 | 233.1 | 160.0 | | 160.0 | 160.0 | | 160.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14154 | 94.6 | 70.0 | | 70.0 | 90.0 | | 90.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142 | 76.4 | 70.8 | 0.0 | 70.8 | 59.5 | 0.0 | 59.5 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1422 | 49.4 | 42.8 | 0.0 | 42.8 | 41.8 | 0.0 | 41.8 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 16.8 | 10.0 | | 10.0 | 9.0 | | 9.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 142214 | 32.6 | 32.8 | | 32.8 | 32.8 | | 32.8 |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **1423** | **27.0** | **28.0** | **0.0** | **28.0** | **17.7** | **0.0** | **17.7** |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 14232 | 27.0 | 28.0 | | 28.0 | 17.7 | | 17.7 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 597.1 | 480.0 | | 480.0 | 480.0 | | 480.0 |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **145** | **21.5** | **0.0** | | | **0.0** | | |

**მუხლი 7. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 12716,3 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | | | 2023 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები |
| **ხარჯები** | **8748.1** | **12527-.3** | **994.9** | **11532.4** | **12716.3** | **0.0** | **12716.3** |
| შრომის ანაზღაურება | 1996.4 | 3463.6 | 0.0 | 3463.6 | 3853.9 | 0.0 | 3853.9 |
| საქონელი და მომსახურება | 1747.8 | 2621.6 | 912.0 | 1709.6 | 1774.1 | 0.0 | 1774.1 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 26.6 | 27.0 | 0.0 | 27.0 | 23.0 | 0.0 | 23.0 |
| სუბსიდიები | 4028.7 | 5303.9 | 0.0 | 5303.9 | 6199.7 | 0.0 | 6199.7 |
| გრანტები | 22.5 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 465.3 | 562.6 | 0.0 | 562.6 | 542.3 | 0.0 | 542.3 |
| სხვა ხარჯები | 460.8 | 518.6 | 82.9 | 435.7 | 293.3 | 0.0 | 293.3 |

**მუხლი 8. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **1743,3** ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 9,382.5 | 12,719.4 | 1,743,3 |

ბ) განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება **50,0** ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | 2023 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 1,599.0 | 560.7 | 50.0 |
| ძირითადი აქტივები | 16.2 | | 0.0 |
| მატერიალური მარაგები | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| არაწარმოებული აქტივები | 1,582.8 | 560.7 | 50.0 |
| მიწა | 1,582.8 | 560.7 | 50.0 |

**მუხლი 9. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული ფორმით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2021 წლის ფაქტი | 2022 წლის გეგმა | | | 2023 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის საკუთარი შემოსავლები |
| **701** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **2847.5** | **4964.6** | **0.0** | **4964.6** | **5387.2** | **0.0** | **5387.2** |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2820.9 | 4937.6 | 0.0 | 4937.6 | 5364.2 | 0.0 | 5364.2 |
| 701-11 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2702.2 | 4694.1 | 0.0 | 4694.1 | 5077.8 | 0.0 | 5077.8 |
| **701-12** | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 118.7 | 243.5 | 0.0 | 243.5 | 286.4 | 0.0 | 286.4 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 8819.3 | 9788.1 | 5865.8 | 3922.3 | 2258.0 | 0.0 | 2258.0 |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 871.8 | 1290.3 | 836.8 | 453.5 | 387.3 | 0.0 | 387.3 |

6

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

5

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **704-21** | **სოფლის მეურნეობა** | **871.8** | **1290.3** | **836.8** | **453.5** | **387.3** | **0.0** | **387.3** |
| 7045 | ტრანსპორტი | 7655.5 | 7637.8 | 5029.0 | 2608.8 | 1570.7 | 0.0 | 1570.7 |
| 704-51 | საავტომობი-ლო ტრანსპორტი და გზები | 7655.5 | 7637.8 | 5029.0 | 2608.8 | 1570.7 | 0.0 | 1570.7 |
| **704-9** | სხვა არაკლასიფი-ცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაშ-ი | 292.0 | 860.0 | 0.0 | 860.0 | 300.0 | 0.0 | 300.0 |
| **705** | **გარემოს დაცვა** | **339.7** | **313.1** | **0.0** | **313.1** | **297.3** | **0.0** | **297.3** |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავებ-ა და განადგურება | 177.7 | 239.1 | 0.0 | 239.1 | 273.3 | 0.0 | 273.3 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 162.0 | 74.0 | 0.0 | 74.0 | 24.0 | 0.0 | 24.0 |
| 706 | საბინაო-კომ-უნალური მეურნეობა | 1707.5 | 4666.4 | 3344.2 | 1322.2 | 1087.2 | 539.6 | 547.6 |
| 7063 | წყალმომარა-გება | 84.3 | 47.9 | 0.0 | 47.9 | 22.0 | 0.0 | 22.0 |
| **706-4** | გარე განათება | 382.7 | 410.0 | 0.0 | 410.0 | 490.6 | 0.0 | 490.6 |
| 7066 | სხვა არაკლასიფი-ცირებული საქმიანობა საბინაო-კომ-უნალურ მეურნეობაში | 1240.5 | 4208.5 | 3344.2 | 864.3 | 574.6 | 539.6 | 35.0 |
| **707** | **ჯანმრთელ-ობის დაცვა** | **203.8** | **216.8** | **0.0** | **216.8** | **236.5** | **0.0** | **236.5** |
| 7072 | ამბულატორ-იული მომსახურება | 44.9 | 45.3 | 0.0 | 45.3 | 51.3 | 0.0 | 51.3 |
| 707-24 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | 44.9 | 45.3 | 0.0 | 45.3 | 51.3 | 0.0 | 51.3 |
| 707-4 | საზოგადოებ-რივი ჯანდაცვის მომსახურება | 158.9 | 171.5 | 0.0 | 171.5 | 185.2 | 0.0 | 185.2 |
| **708** | დასვენება, კულტურა და რელიგია | 1181.8 | 1628.0 | 0.0 | 1628.0 | 1918.2 | 0.0 | 1918.2 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 228.9 | 308.8 | 0.0 | 308.8 | 365.2 | 0.0 | 365.2 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 32.9 | 51.7 | 0.0 | 51.7 | 57.6 | 0.0 | 57.6 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებ-რივი საქმიანობა | 920.0 | 1267.5 | 0.0 | 1267.5 | 1495.4 | 0.0 | 1495.4 |
| **709** | **განათლება** | **2393.1** | **3171.0** | **767.9** | **2403.1** | **2776.5** | **0.0** | **2776.5** |
| 7091 | სკოლამდელ-ი აღზრდა | 1737.6 | 2376.9 | 0.0 | 2376.9 | 2745.0 | 0.0 | 2745.0 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 655.5 | 794.1 | 767.9 | 26.2 | 31.5 | 0.0 | 31.5 |
| 709-23 | საშუალო ზოგადი განათლება | 655.5 | 794.1 | 767.9 | 26.2 | 31.5 | 0.0 | 31.5 |
| **710** | **სოციალური დაცვა** | **637.9** | **498.7** | **0.0** | **498.7** | **498.7** | **0.0** | **498.7** |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლ-ობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 221.3 | 258.6 | 0.0 | 258.6 | 229.4 | 0.0 | 229.4 |
| 7101-1 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 221.3 | 258.6 | 0.0 | 258.6 | 229.4 | 0.0 | 229.4 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 82.6 | 96.0 | 0.0 | 96.0 | 82.3 | 0.0 | 82.3 |
| **710-7** | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარე-ბა კლასიფიკაც-იას | 80.2 | 84.1 | 0.0 | 84.1 | 125.0 | 0.0 | 125.0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფი-ცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 253.8 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 62.0 | 0.0 | 62.0 |
| | **სულ** | **18130.-6** | **25246-.7** | **9977.9** | **15268.8** | **14459.-6** | **539.6** | **13920.-0** |

**მუხლი 10. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 59,0 ათასი ლარით.

**მუხლი 11. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 -ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 -ით.

**მუხლი 12. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0-ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 59,0 ათასი ლარით.

**მუხლი 13. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

**მუხლი 14. ხობის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 260.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 130,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 124,0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 6,0 ათასი ლარი;

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქრთველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**თავი II**

**ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 01 01 03)**

თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

**ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 01 01 03)**

პროგრამით ხორციელდება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა ჯამრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა–შენახვა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ქალაქის სკვერებისა და პარკების, ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების მოვლა-შენახვა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 02 01)**

**ა.ა) გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. პერსპექტივაში ამ მიმართულებით გაგრძელდება ასიგნებების გამოყოფა.

**ა.ბ) ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 02)**

ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მგდომარეობის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია. სათანადო რესურსების შემთხვევაში ამ კუთხით ასიგნებები კვლავ გამოიყოფა.

**ბ) კომუნალური ინფრასრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02)**

**ბ.ა) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 02 01)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს გარე განათების მოვლა-შენახვის ღონისძიებების გახორციელებას;

**ბ.ბ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 02)**

მომავალ წლებში გათვალისწინებულ იქნება სოფლების წყალმომარაგების პრობლემების მნიშვნელოვანწილად გადაჭრა.

**ბ.გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 03)**

პერსპექტივაში კვლავ გრძელდება საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

**ბ.დ) სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 04)**

რეგიონის ჭარბნალექიანობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხებს.

**ბ.ე) მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)**

შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული დაწესებულებების სასმელი წყლით მომარაგებას, ასევე ქ. ხობის მოსახლეობისა და ქ. ხობში განთავსებული დაწესებულებებისთვის წყალარინებით მომსახურების უზრუნველყოფას.

**გ) სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)**

მუნიციპალიტეტისათვის ამ მეტად პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში საჭირო იქნება ცენტრალური ბიუჯეტიდან სათანადო სახსრების გამოყოფა.

7

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

6

**დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)**

პროექტი ხორციელდება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მიმართულებებზე, გამოკვეთილია გზები, სანიაღვრე არხები და წყალმომარაგების სისტემები.

**ე) რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 06)**

პროგრამით ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

**ვ) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 07)**

ერთობლივად დაფუძნებული კერძო სამართლის ა(ა)იპ ,,სამეგრელო-ზემო სვანეთის ტურიზმის მართვის ცენტრი“ აწარმოებს უნიკალური ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავებას, ორგანიზაცია მოახდენს რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას კერძო და საჯარო სექტორში რეგიონული ტურიზმის პოპულარიზებისათვის.

**3. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02)**

შპს ,,ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს ქალაქის სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვისა და დასუფთავების ღონისძიებების გახორციელებას, გააჩნია შესაბამისი ტექნიკა.

**4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

**ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც დაწ□ებით განათლებას იღებს 1000 ბავშვი. ხდება არსებული მატერიალური ბაზის განახლება და ახლის შექმნა.

**5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

**ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

**ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)**

მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ზრდის სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსებას. 2023 წლისათვის გათვალისწინებული პროექტით - 13,0 ათასი ლარი.

**ა.ბ) ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)**

მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხდება ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალთა გუნდის ტურნირების დაფინანსება, რაც 2023 წლისათვის შეადგენს 334,2 ათას ლარს.

**ა.გ) სტადიონების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)**

ხდება არსებული სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა.

**ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

**ბ.ა) ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)**

ამ კუთხით გამოყოფილი სახსრები განკუთვნილია ისტორიული ძეგლების მონიტორინგისათვის, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის.

**ბ.ბ) კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)**

დაგეგმილია სხვადასხვა თემატური ღონისძიება, ხალხური პოეზიის გამოვლენა და შემოქმედ ოჯახებთან შეხვედრა, ახალგაზრდა თაობის ჩართვით.

**გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები (მხარეთმცოდნეობის კუთხით ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული დღეების გამართვა, ექსკურსიების მოწყობა, ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შეხვედრების მოწყობა, ახალგაზრდების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ინიცირებული პროექტების თანადაფინანსება).

**დ) კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)**

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმათლებო საზოგადოებრივი ცენტრი’’-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს, . ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტური ცენტრი’’ კოორდინირებას უწევს ქ. ხობში კულტურის სახლის, ცენტრალური ბიბლიოთეკის ქ. ხობში, 12 სასოფლო ბიბლიოთეკის, 8 სასოფლო კლუბის, 2 სასოფლო კულტურის სახლის, 3 მუზეუმის მუშაობას. ცენტრი ასევე ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან. აქ ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, კომპიუტერის შემსწავლელი ცენტრი, სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი. სულ სხვადასხვა წრეებსა და სექციებში გაერთიანებულია 700-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მატერიალური ბაზისა და სპორტული და სასწავლო ინვენტარებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხს.

**ე) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხობის ხარების დედათა მონასტრის ფინანსური მხარდაჭერა.

**6. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელსეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადსხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, ერთიანი სახერლმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

**ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები (პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწიინაღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება.)

იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა ( იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგებადადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაცინათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიტოების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში; (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; ,,ცივი ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა (წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დაგენა სეზონის განმავლობაში.

პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები (წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინაალმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.)

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა (მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა.

დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა (მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სხვა პარაზიტული დაავადებების დიგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება).

სანიტარული ღონისძიებები (საგანმანათლებლო, სააღმზრდელო საგანმანათლებლო-საარმზრდელო დაწესებულებებსი სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

**ბ) ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02)**

